დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება

ბრძანება:**ბ109. 109233191**

თარიღი:**15/11/2023**

დმანისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის საჯაროდ განსახილველად გამოქვეყნების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-3-ე პუნქტის ,,გ'' ქვეპუნქტის, 91-ე მუხლისა და ,,დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №48 დადგენილების 85-ე და 86-ე მუხლების შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. დმანისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი და დმანისის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი (თანდართული), გამოქვეყნდეს საჯაროდ განსახილველად და განთავსდეს დმანისის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე - www. dmanisi.gov.ge.

2. დმანისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი და პრიორიტეტების დოკუმენტი განსახილველად გადაეცა:

- საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიას
- საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას
- საკრებულოს სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიას
- საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიას
- საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიას
- საკრებულოს ფრაქციას ,,ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველო"
- საკრებულოს ფრაქციას "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"

3. დმანისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის საჯარო განხილვა გაიმართოს მ/წლის 22 ნოემბერს 12:00 საათზე მისამართზე: ქ. დმანისი, წმ. ნინოს ქ.№41, მერიის საკონფერენციო დარბაზი;

4. აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებული კითხვებისა და მოსაზრებების წარდგენა შესაძლებელია 2023 წლის 25 ნოემბრამდე, მისამართზე: ქ. დმანისი, წმ. ნინოს ქ.№41, საკრებულოს აპარატი.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (ქ.ბოლნისი, სულხან საბას ქ. N113).

პაატა ყულიაშვილი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/